მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტი
პროექტის N P173782
სესხის N 9361-GE
დავალების დასახელება: გარემოს დაცვის სპეციალისტი
კონტრაქტის ნომერი: KCIP/CS/ICS-02

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გარემოს დაცვის სპეციალისტი**. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ ინფორმაციას.

გარემოს დაცვის სპეციალისტი დაეხმარება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს იმის უზრუნველყოფაში, რომ კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაო შეესაბამებოდეს ეროვნულ გარემოსდაცვით კანონებსა და რეგულაციებს, მკაცრად იყოს დაცული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები (ESMPs), რომელიც მოცემულია რომლებიც მოცემულია ავტომაგისტრალის მონაკვეთების მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში. გარემოსდაცვის სპეციალისტი საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ სხვა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებში.

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

https://www.dropbox.com/sh/z0zv396ket1i7cj/AADqDs5FPM1FXLze1QGWf4x3a?dl=0

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში;
- არანაკლებ 5 (ხუთ) წლიანი სამუშაო გამოცდილება საბუნებისმეტყველო სფეროში, საიდანაც სასურველია 3 (სამი) წლიანი გამოცდილება აღნიშნული დავალების მსგავს დავალებებში;
- ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება გარემოსდაცვით სფეროში, სასურველია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გამოცდილება (მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროექტებში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);

- იცნობდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ რეგულაციებს;
- ჰქონდეს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები გარემოს მართვაში. ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების გარემოსდაცვითი მართვის (სასურველია ზედამხედველობის დავალებები) პრაქტიკული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- ჰქონდეს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების გარემოსდაცვითი შეფასებებისა და მართვის დაგეგმვისა და/ან ასეთი გეგმების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება (საავტომობილო გზების სფეროში პრაქტიკული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);
- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნა;
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის სრულყოფილად ცოდნა.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.</u>

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს - შესყიდვების რეგულაციები საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მსესხებლებისთვის გამოცემული 2016 წლის ივლისში (განახლებული 2020 წლის ნოემერში) მესამე თავის 3,14 და 3,17 პარაგრაფებზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტების ღია საკონკურსო შერჩევის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიასთან (CV) ერთად დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2023 წლის 11 იანვრის 18:00 საათისა.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი

სალომე წურწუმია, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge